ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 60-72

"23" სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 08/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016900) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველ მუხლს:

ა) პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო" ქვეპუნქტი:

„ო) სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები."

ბ) მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო" ქვეპუნქტი:

„ო) სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები (დანართი N14).";

2. დადგენილებას დანართი N13-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №14.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები

მუხლი 1. ზოგადი აღწერა

სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურება წარმოადგენს მომსახურების ისეთ სახეს, რომელიც საშუალებას აძლევს პირს მისი შესყიდვის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია, კონკრეტულ სატრანსპორტო საშუალებაზე მიბმულია თუ არა ტაქსის ნებართვა.

მუხლი 2. სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების საფასური

მომსახურების დასახელება	**სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების საფასური დღგ-ს ჩათვლით (ლარი) - ერთი ავტომობილი**
სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურება	**1.5**

მუხლი 3. სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების პირობები

1. პირი, რომელიც გადაწყვეტს შეისყიდოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსგან“ (შემდგომში – „სააგენტო“) სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურება, ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა სააგენტოს წარუდგინოს წერილობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მომსახურების გაწევის პერიოდს/ვადას.

3. მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ყოველთვიურად, ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მომსახურების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.